ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7915640

ნომერი: AR11140754

თარიღი : 01.05.2026

გაცემის თარიღი : 11.05.2026

გაცნობის თარიღი : 11.05.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N197;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

მოთხოვნა დაყენებულია ქეთევან ფანცულაიას (პირადი N01008010269) მიერ, რომელიც არ არის უფლებამოსილი განმცხადებელი ვინაიდან და რადგანაც მისი უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილი არ არის შპს „ARTLINE WINGS“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445392557) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მის სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა.

წარმოდგენილია 2025 წლის 02 ივნისით დათარიღებული შპს „თბილისი ენერჯის“ № 02-13-126426-25 წერილი, რომელიც არის შუალედური ხასიათის და არ წარმოადგენს სამუშაოების განხორციელებაზე შპს „თბილისი ენერჯის“ დადებითი ნებელობის გამომხატველ დოკუმენტს. ზემოხსენებული წერილი შეიცავს შპს „ARTLINE WINGS“-ის

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 445392557) მხრიდან სავალდებულოდ შესასრულებელ პირობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ დამატებით წარმოსადგენია:

1. განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის ზუსტი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოსადგენია ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
2. სარეკონსტრუციოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. შპს „ARTLINE WINGS“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445392557) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ქეთევან ფანცულაიას (პირადი N01008010269) სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება შპს „ARTLINE WINGS“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 445392557) სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განსახორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად);
4. შპს „თბილისი ენერჯის“ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს ქეთევან ფანცულაიას (პირადი N01008010269) მიერ NAR11140754 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა და სათანადო წესით დამოწმებული ყველა ის ტექნიკური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იქნება გაცემული შპს „თბილისი ენერჯის“ საბოლოო თანხმობა;
5. ვინაიდან სამუშაოები ასევე გათვალისწინებულია საზოგადოებრივ სივრცეში, დამატებით წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.